მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილია დაინტერესებული პირის, შპს „დიდი დიღომი რეზიდენს“-ის დირექტორის, გიორგი ხუციშვილი თანხმობა და ასევე შპს ,,სკა ისტეიტი“-ს დირექტორის გიორგი ქრისტინაშვილის (პ/ნ 01002008207) მიერ გიორგი ხუციშვილის სახელზე გაცემული მინდობილობა უფლებამოსილებებთან დაკავშირებით.

შენიშვნა: მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის მიხედვით მშენებლობის ხანგრძლივობა წარმოადგენს 3 წელიწადს და 6 თვეს, შესაბამისად გამწვანების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდება 2027 წლის ბოლომდე, შენობა-/ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე.

თანხმობა

თბილისი 01.05.2024 წ.

შპს „დიდი დიღომი რეზიდენს“-ის (ს/ნ 404665331) დირექტორი გიორგი ხუციშვილი (პ/ნ 59001014461) თანხმობას ვაცხადებ ავიღო პასუხისმგებლობა, შპს ,,სკა ისტეიტი“-ს (ს/ნ 400351588) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ს/კ №01.10.06.022.011; ს/კ №01.10.06.022.012 გასაშენებელი მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.

შპს „დიდი დიღომი რეზიდენს“-ის

დირექტორი

გიორგი ხუციშვილი

შპს დიდი დიღომი რეზიდენს

ს.ნ. 404665331. იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი,
რ. თაბუკაშვილის ქუჩა, (ყოფილი მნელაძე), N 27

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ რომ, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევ N 13 - ში (ს.კ. 01.10.06.022.011), შპს დიდი დიღომი რეზიდენსის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინერეობს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მდებარეობს დიდტანოვანი ნარგავები: ტირიფი N41(D=20-36 სმ) და ვერხვი: N210 (D=30 სმ); დაგეგმილია აღნიშნული ხეების გადარგვა იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. ნარგავების დიამეტრიდან გამომდინარე შემუშავდა გადარგვის ინდივიდუალური-ტექნიკური დოკუმენტაცია. გაცნობებთ რომ მისი გადარგვა და შემდგომი მოვლა-პატრონობა განხორციელდება შპს დიდი დიღომი რეზიდენსის მიერ, მისივე ტექნიკის გამოყენებით.



დირექტორი: გიორგი ხუციშვილი

პ.ნ. 59001014461

თარიღი: 30.04.2024 წ.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

17299635889923

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231361038

რეგისტრაციის თარიღი

27.09.2023 წ

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/1
ტელეფონი: +995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

მინდობილობა

დღეს, ორიათას ოცდასამი წლის **ოცდაშვიდ სექტემბერს,** ჩემთან, ნოტარიუს ნინო ხოფერისთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #24/1, გამოცხადდა **შპს „სკა ისტეიტი“ -ს** (ს.ნ. 400351588) დირექტორი **გიორგი ქრისტინაშვილი** (დაბ. 24.05.1978წ. რეგ.მის.ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VIII მიკრო/რაიონი, კორპუსი 29, ბინა 18; პირადი ნომერი 01002008207) თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 16/06/2023წ. მხარემ წარმოადგინა წინამდებარე მინდობილობა/რწმუნებულება შედგენილი **შპს „დიდი დიღომი რეზიდენს“-ის** (ს.ნ. 404665331; შემდგომში - „რწმუნებული“), წარმოდგენილის დირექტორის **გიორგი ხუციშვილის** (დაბ. 02.03.1982წ. პირადი ნომერი 59001014461) მიმართ და განაცხადა, რომ სურს აღნიშნული მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა, შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა/უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში/უფლებამოსილებაში, ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. პირადობა დავადგინე პირადობის დამადასტურებელი საბუთების საფუძველზე, დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მიმნდობს განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირს. ამ განმარტების შემდეგ, შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მინდობილობა/რწმუნებულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს ნინო ხოფერიას არქივში, რომელსაც თან ერთვის **შპს „სკა ისტეიტი“ -ს** ამონაწერი, სამეწარმეო რეესტრიდან, ორი ეგზემპლარი გადაეცა მხარეს.

სულ გადახდილია 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, სანოტარო საზღაური - 30 (ოცდაათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, პ.7, აგრეთვე დღგ (18%) თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 5 (ხუთი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად;.

რწმუნებულება

შპს „სკა ისტეიტი“ (ს.ნ.400351588, შემდგომში - „მარწმუნებელი“) წარმოდგენელი დირექტორის **გიორგი ქრისტინაშვილის** (პირადი ნომერი 01002008207) მიერ, ანიჭებს უფლებამოსილებას **შპს „დიდი დიღომი რეზიდენს“-ს** (ს.ნ. 404666331, შემდგომში - „რწმუნებული“), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ხუციშვილის** (პირადი ნომერი 59001014461) სახით, რათა მან „მარწმუნებლის“ (შპს „სკა ისტეიტი“-ს) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. წარმოადგინოს „მარწმუნებელი“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, შპს „სკა ისტეიტი“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13 დაზუსტებული ფართობი: 82020.00 კვ.მ. (ს/კ 01.10.06.022.008), განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება/მიღება/დამტკიცებასთან დაკავშირებით, განახორციელოს მათში ცვლილებების შეტანა, პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად აუცილებელი ყველა დოკუმენტის მომზადება და წარდგენა, მათ შორის შეთანხმებული სანებართვო დოკუმენტაციის კორექტირება; ასევე ეძლევა უფლებამოსილება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოახდინოს მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება და შემდეგ მისი დაყოფა განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.
2. წინამდებარე რწმუნებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის წარადგინოს/ატვირთოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, პროექტები, ნახაზები, ხელი მოაწეროს განცხადებებს/დოკუმენტებს, ყველა ოფიციალურ საბუთს, ატვირთოს საიტებზე დოკუმენტაცია, მიიღოს მონაწილეობა განხილვაში, დამტკიცებაში და შეასრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება, მიიღოს შეთანხმებული დოკუმენტაცია და ნებართვები, დააყენოს მოთხოვნები უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე და თავად განსაზღვროს ამ მოთხოვნათა შინაარსი.

3. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ „რწმუნებულის“ აზრით საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, აგრეთვე წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით და ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „სკა ისტეიტი“ – ს დირექტორი გიორგი ქრისტინაშვილი

გიორგი ქრისტინაშვილი


აპიძულია
ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

08351550826823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230291654

რეგისტრაციის თარიღი

07.03.2023 წ

ნოტარიუსი: დავით მეფარიშვილი
მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 104
ტელეფონი: 598262299, 593262299

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის შვიდ მარტს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N104-ში, მომმართა გიორგი ხუციშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს დიდი დიღომი რეზიდენსის (ს/ნ № 404665331) წარმომადგენელი და სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს მარიამ პაპუკაშვილს. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი ხუციშვილმა (დაბ. 02.03.1982წ, პ/ნ № 59001014461, რეგისტრაციის მის. საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, თამარ მეფის V კვარტალი, N 15, ბინა 15) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე გიორგი ხუციშვილის უფლებამოსილება წესდებით და ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს დიდი დიღომი რეზიდენსის შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23020271, 15/02/2023 15:14:59, ს/ნ № 404665331, ი/მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რ. თაბუკაშვილის ქუჩა, (ყოფილი ძნელაძე), N 27, და დავრწმუნდი მის უფლებამოსილებაში. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის შვიდ მარტს მე, გიორგი ხუციშვილი (დაბ. 02.03.1982წ, პ/ნ № 59001014461, რეგისტრაციის მის. საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, თამარ მეფის V კვარტალი, N 15, ბინა 15) , როგორც შპს დიდი დიღომი რეზიდენსის (ს/ნ № 404665331 ი/მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რ. თაბუკაშვილის ქუჩა, (ყოფილი ძნელაძე), N 27) წარმომადგენელი, შემდეგში „მარწმუნებელი“, ამ მინდობილობით მარიამ პაპუკაშვილს (დაბ. 10.08.1992წ, პ/ნ № 01008044858, რეგისტრაციის მის. საქართველო, ქალაქი თბილისი, თენგიზ აბულაძის ქუჩა, N 9, ბინა 3) , (შემდეგში „რწმუნებული“) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს დიდი დიღომი რეზიდენსი (ს/ნ № 404665331) საპროექტო და სამშენებლო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით. მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული შპს დიდი დიღომი რეზიდენსს (ს/ნ № 404665331) წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, არქიტექტურის საქალაქო/მუნიციპალურ სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ურბანული განვითარების სამსახურში, სხვა საქალაქო და მუნიციპალურ სამსახურებში, ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში, ბუნებრივი გაზის/ ელ.ენერგიის/ წყალმომარაგების/ კომუნიკაციების ლიცენზიანტებთან, იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ სამინისტროში, დეპარტამენტში, სააგენტოში, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში.

რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს განცხადებას, საჩივარს და შეიტანოს ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში; აწარმოოს ქონების ლეგალიზაციასთან, გამოჯვნასთან, დაყოფასთან, გაერთიანებასთან, საზღვრების დადგენასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, გაზიფიკაციასთან, ელექტრიფიკაციასთან, წყალმომარაგებასთან და წყალანირებასთან, საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება/შეთანხმებასთან და შესაბამისი თანხმობების/ნებართვების/მოწმობების მიღებასთან დაკავშირებული საქმეები, გასცეს/გამოითხოვოს/მიიღოს საკუთრების /ფლობის უფლებასთან დაკავშირებული ან/და ამ უფლებიდან გამომდინარე ნებისმიერი თანხმობა/ნებართვა/მოწმობა. განახორციელოს მიმდინარე ან/და კაპიტალური რემონტი, დაგეგმარება/გადაგეგმარება, მიშენება/დაშენება, საკომუნიკაციო ქსელებთან (ელ.ენერგია, წყალმომარაგება/წყალანირება, ბუნებრივი გაზი, სატელეკომუნიკაციო და სხვ) მიერთება/გათიშვა, მახასიათებლების სხვაგვარი შეცვლა. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგივრად, გადაიხადოს/დაიბრუნოს ბაჟი ან/და სხვა გადასახადები (მათ შორის კომუნალური) და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

რწმუნებულს უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს/პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია 10 წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაცამეტი წლის შვიდი მარტის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია 3 თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში და დაერთვის გიორგი ხუციშვილის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაცია. სტანდარტული წესდების ეგზემპლარი დაცულია ჩემს სანოტარო არქივში (რ/რ N220511107)

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია სულ: 40.4 ლარი, მათ შორის 31.8 მუხლის საფუძველზე 30 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5 ლარი 39.1. მუხლის საფუძველზე და დღგ 5.4 ლარი საგადასახადო კოდექსის 166 მუხლის საფუძველზე.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი

ხე-მცენარეების გადარგვის პროექტი

ქალაქი თბილისი , პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13
ს/კ 01.10.06.022.011

დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ილია ცქიტიშვილი

2024

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი

დირექტორი:
საკონტაქტო ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტა:

საკონსულტაციო კომპანია: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
ს/კ:400261916

თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (99) 95 07 00
ელექტრონული ფოსტა: iliaokromelidze@gmail.com

1. შესავალი

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.10.06.022.011 არსებული 1 ძირი საჭიროებს გადარგვას იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. მწვანე ნარგავების ხარისხოვრივ შეფასებაზე ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“-ს მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის თანახმად მიწის ნაკვეთზე - ს/კ 01.10.06.022.011 (ძველი ს/კ 01.10.06.022.008) გამოვლენილია 25 სმ და მეტი დიამეტრის 1 ძირი ხე-მცენარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარის გადარგვის ინდივიდუალურ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

ხის N	მცენარის სახეობა	დიამეტრი
№41	**ტირიფი (salix sp.)**	**20-36**

მოცემული ხე-მცენარის გადარგვა მოხდება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, (ს/კ 01.10.06.022.011; მის: ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13)

გადასარგავი ხე-მცენარის გადარგვის ნაბიჯები

1. გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა
2. გადარგვის ადგილის განსაზღვრა
3. გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება
4. გადასარგავი ხე-მცენარის კომის ამოღება/შეფუთვა
5. ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება
6. *ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა*

ქვემოთ აღწერილია აღნიშნული ხე-მცენარის ამოღებისა და გადარგვის პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წლის არასავეგეტაციო პერიოდში და ასევე მოცემულია გადარგვის შემდგომ მათი მოვლა-პატრონობის წესები.

2. ხე-მცენარის ამოღება

გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა

- გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის *(D-36 სმ)* ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობით, ხოლო სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-დე;

კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა, განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა;

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვა

- ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება;

ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.);

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვის შემდგომ

მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან.

შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან;

საჭიროების შემთხვევაში ხე-მცენარეზე ხორციელდება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის მიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

3. ხე-მცენარის გადარგვა

გადარგვის ადგილის განსაზღვრა

- გადარგვის ადგილი უნდა განისაზღვროს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.

გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება

- გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს ორმო:
  - ორმოს სასურველია ჰქონდეს 0.5–0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომებთან შედარებით;
  - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
  - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
  - თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი);

ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება

- ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით!
- ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით, ისე რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს;

ტირიფი (salix sp.) №41; D – 20-36

ხე-მცენარის მოთავსების შემგომი ნაბიჯები

- ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან;

ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

- კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
- ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;

ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯერებამდე.

4. ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
3. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
4. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება;
5. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან;
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;

<u>გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</u>

ექსპერტი

გიორგი მჭედლიშვილი

ხე-მცენარეების გადარგვის პროექტი

ქალაქი თბილისი , პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13
ს/კ 01.10.06.022.011

დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ილია ცქიტიშვილი

2024

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი

დირექტორი:
საკონტაქტო ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტა:

საკონსულტაციო კომპანია: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“

ს/კ:400261916
თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (99) 95 07 00
ელექტრონული ფოსტა: iliaokromelidze@gmail.com

1. შესავალი

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.10.06.022.011 არსებული 1 ძირი საჭიროებს გადარგვას იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. მწვანე ნარგავების ხარისხოვრივ შეფასებაზე ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“-ს მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის თანახმად მიწის ნაკვეთზე - ს/კ 01.10.06.022.011 (ძველი ს/კ 01.10.06.022.008) გამოვლენილია 25 სმ და მეტი დიამეტრის 1 ძირი ხე-მცენარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარის გადარგვის ინდივიდუალურ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

ხის N	მცენარის სახეობა	დიამეტრი
№210	**ვერხვი (Populus)**	**30**

მოცემული ხე-მცენარის გადარგვა მოხდება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, (ს/კ 01.10.06.022.011; მის: ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13)

გადასარგავი ხე-მცენარის გადარგვის ნაბიჯები

1. გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა
2. გადარგვის ადგილის განსაზღვრა
3. გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება
4. გადასარგავი ხე-მცენარის კომის ამოღება/შეფუთვა
5. ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება
6. *ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა*

ქვემოთ აღწერილია აღნიშნული ხე-მცენარის ამოღებისა და გადარგვის პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წლის არასავეგეტაციო პერიოდში და ასევე მოცემულია გადარგვის შემდგომ მათი მოვლა-პატრონობის წესები.

2. ხე-მცენარის ამოღება

გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა

- გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობით, ხოლო სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-დე;

კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა, განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა;

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვა

- ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება;

ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქცია ან/და სხვ.);

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვის შემდგომ

მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან.

შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან;

საჭიროების შემთხვევაში ხე-მცენარეზე ხორციელდება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის მიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

3. ხე-მცენარის გადარგვა

გადარგვის ადგილის განსაზღვრა

- გადარგვის ადგილი უნდა განისაზღვროს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.

გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება

- გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს ორმო:
  - ორმოს სასურველია ჰქონდეს 0.5–0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომებთან შედარებით;
  - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
  - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
  - თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი);

ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება

- ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით!
- ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით, ისე რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს;

ხე-მცენარის მოთავსების შემგომი ნაბიჯები

- ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან;

ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

- კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
- ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;

ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯერებამდე.

4. ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
3. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
4. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება;
5. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან;
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;

<u>გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</u>

ექსპერტი

გიორგი მჭედლიშვილი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

არქიტექტურული პროექტი

დამკვეთი :	შპს "დიდი დიღომი რეზიდენს"
შემსრულებელი ორგანიზაცია :	შპს "სტუდიო ალფა სახლი"
პრ. ავტორი :	მ. პაპუკაშვილი

საკადასტრო მონაცემები	ს.კ. 01.10.06.022.011;
ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13
ფუნქციური დანიშნულება	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი

2024 წ.

ფუნქციური დანიშნულება	ობიექტის მისამართი	შემსრულებელი ორგანიზაცია	დირექტორი		A - 3
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	ს.კ. 01 10.06.022.011 ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13	შპს სტუდიო ალფა სახლი ს.კ. 404664573	მ.პაპუკაშვილი არქიტექტორი მ.პაპუკაშვილი	არსებული ხე-ნარგავების სქემა	მასშტაბი თარიღი 20/06/2024 ფურცელი

01.10.06.001.021

ქვეკატეგორია	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა
ობიექტის დასახელება	ს.კ. 01.10.06.022.011
	ქ.თბილისი,
	ვაჟა-ფშაველას გამზირი N13
მშენებლობის ნებართვის მფლობელი	ს.კ. 404664573
	შპს ,,ფორტ ჯორჯიას ჯგუფი''
პროექტის ავტორი	შპს ,,ფორტ ჯორჯიას ჯგუფი''



ფუნქციური დანიშნულება	ობიექტის მისამართი	შემსრულებელი ორგანიზაცია	დირექტორი		კ3 კოეფიციენტის სქემა	A - 3
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	ს.კ. 01 10.06.022.011 ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13	შპს სტუდიო ალფა სახლი ს.კ. 404664573	მ.პაპუკაშვილი არქიტექტორი მ.პაპუკაშვილი			მასშტაბი თარიღი 20/06/2024 ფურცელი



ფუნქციური დანიშნულება	ობიექტის მისამართი	შემსრულებელი ორგანიზაცია	დირექტორი		გამწვანების წინადადება	A - 3	
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	ს.კ. 01 10.06.022.011	შპს სტუდიო ალფა სახლი	მ.პაპუკაშვილი			მასშტაბი	
	ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13	ს.კ. 404664573	არქიტექტორი			თარიღი	20/06/2024
			მ.პაპუკაშვილი			ფურცელი	

გამწვანების პროექტის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო:

გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები: ს.კ. 01.10.06.022.011
მიწის ნაკვეთის ფართობი : 40 230 კვ.მ
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)
კ3 კოეფიციენტის ფართობი - 16 167 კვ.მ
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი : 22.11.2027
გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია:
შპს "დიდი დიღომი რეზიდენს" ს.კ. 404665331
გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი

გადარგული ნარგავების რაოდენობა: 31 ხე ნარგავი.
გასაშენებელი მწვანე ნარგავების ჯამური რაოდენობა: 1 264 ხე-ნარგავი.
გასაშენებელი ხეების რაოდენობა: 215
გასაშენებელი ბუჩქის რაოდენობა: 1 049
ადგილზე დარჩენილი ნარგავების რაოდენობა: 8

შენიშვნა: საპროექტო ხე-ნარგავების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის 05.14.147. განკარგულებით დამტკიცებული რეკომენდირებული და პრიორიტეტული მცენარეების ნუსხიდან.

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - მიმდინარეობს შეთანხმება.

გადარგული ხე-ნარგავების სახეობა და რაოდენობა:

№ 40; 201; 202; 203; 204; 205; 210; 219; - ვერხვი (8 ძირი);
№ 6; 209; 212; 213; 214; 215; 219; - წიწაკა (6 ძირი);
№ 208; - იალღუნი (1 ძირი);
№ 7; - გლედიჩია (1 ძირი);
№ 5; 206; 216; - თუთა (3 ძირი);
№ 35; - ნეკერჩხალი (1 ძირი);
№ 13; 21; 211; - თელა (13 ძირი);
№ 41; 218; 222; - ტირიფი (3 ძირი);
№ 4; - ბროწეული (1 ძირი);
№ 42; - კაკლის ხე (1 ძირი);
№ 43; 217; - აილანთუსი (2 ძირი);

გასაშენებელი ხე-ნარგავების სახეობა:

კვიდო იაპონური:
რაოდენობა - 1 049; ხნოვანება: 5 - 10 წ; სიმაღლე: 1 - 1.5 მ; გარშემოწერილობა: 14 სმ.
დახასიათება: გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი.

იაპონური სოფორა:
რაოდენობა - 29; ხნოვანება: 5 - 10 წ; სიმაღლე: 3.5 მ; გარშემოწერილობა: 20 სმ.
დახასიათება: გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი.

კავკასიური ცაცხვი:
რაოდენობა - 20; ხნოვანება: 5 - 10 წ; სიმაღლე: 3.5 მ; გარშემოწერილობა: 20 სმ.
დახასიათება: ჩრდილის მოყვარული; საშუალოდ მზარდი.

მინდვრის ნეკერჩხალი:
რაოდენობა - 48; ხნოვანება: 5 - 10 წ; სიმაღლე: 3 .5 მ; გარშემოწერილობა: 20 სმ.
დახასიათება: გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი.

ჩვეულებრივი იფანი:
რაოდენობა - 54; ხნოვანება: 5 - 10 წ; სიმაღლე: 3.5 მ; გარშემოწერილობა: 20 სმ.
დახასიათება: გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი.

ჰიმალაის კედარი:
რაოდენობა - 64; ხნოვანება: 5 - 10 წ; სიმაღლე: 3 მ; გარშემოწერილობა: 20 სმ.
დახასიათება: გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი.





მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევის მიმდებარედ



დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე

2023

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საკონტაქტო პირი:

საკონტაქტო ტელეფონი:

ელექტრონული ფოსტა:

საკონსულტაციო კომპანია: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“

თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე

საკონტაქტო ტელეფონი: +995 (95) 95 07 00

ელექტრონული ფოსტა: garemosdc.info@gmail.com



შინაარსი

1. შესავალი.....4

2. საექსპერტო დასკვნის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....4

3. ჩატარებული სამუშაოები.....4

4. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა.....4

4.1 ს/კ 01.10.06.022.007 მიწის ნაკვეთსა და ს/კ 01.10.06.001.258 მიწის ნაკვეთს შორის არსებული ხე-მცენარეების აღრიცხვის სრული უწყისი №1 4

5. დასკვნა.....5

1. შესავალი

საექსპერტო დასკვნის მიზანია ქალაქი თბილისში, დიდ დიღომში, პეტრე იბერის ქუჩის მიმდებარედ, **01.10.06.022.008 საკადასტრო ერთეულისა და 01.10.06.022.004 საკადასტრო ერთეულს** შორის არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე ხე-მცენარეების აღრიცხვა და ხარისხობრივი შეფასება.

2. საექსპერტო დასკვნის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტის შედგენის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის №5-31 ბრძანება.

3. ჩატარებული სამუშაოები

ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრის“ ექსპერტის (ლ. გოშაძის) მიერ 2023 წლის 16 ივლისს, **01.10.06.022.008 საკადასტრო ერთეულისა და 01.10.06.022.004 საკადასტრო ერთეულს** შორის არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა არსებული მერქნიანი მცენარეების აღრიცხვა, გაზომვა, მდგომარეობის ვიზუალური შეფასება, ფოტომასალის გადაღება და უწყისების შედგენა.

4. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა

საველე სამუშაოების დროს, **01.10.06.022.008 საკადასტრო ერთეულისა და 01.10.06.022.004 საკადასტრო ერთეულს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე სულ აღიწერა 1 ძირი ხილკენკროვანი** ხე-მცენარე *(ს/კ 01.10.06.022.008 მიწის ნაკვეთსა და ს/კ 01.10.06.022.004 მიწის ნაკვეთს შორის არსებული ხე-მცენარეების აღრიცხვის სრული უწყისი №1).*

4.1 ს/კ 01.10.06.022.008 მიწის ნაკვეთსა და ს/კ 01.10.06.022.004 მიწის ნაკვეთს შორის არსებული ხე-მცენარეების აღრიცხვის სრული უწყისი №1

№	ხის №	სახეობა	D 10სმ-ზე	შენიშვნა
1	1	ვერხვი (Populus)	5-6	2 ძირი / ჯანსაღი / ექვემდებარება გადარგვას და გახარებას

5. დასკვნა

ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, **01.10.06.022.008 საკადასტრო ერთეულისა და 01.10.06.022.004 საკადასტრო ერთეულს** შორის არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე სულ აღიწერა 1 **ხე-მცენარე**.

შემსრულებელი  ლევან გოშაძე, ექსპერტი



Activate Windows





ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13
ს/კ 01.10.06.022.008

დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე

2023

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია:

საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირი:
საკონტაქტო ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტა:

საკონსულტაციო კომპანია: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“



თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (99) 27 50 10
ელექტრონული ფოსტა: iliaokromelidze@gmail.com

შინაარსი

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე..... 1

1. შესავალი..... 4

2. საექსპერტო დასკვნის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი 4

3. ტერიტორიის აღწერა..... 4

3.1. შესწავლილი ტერიტორია..... 4

3.2. ტერიტორიის ზონები..... 4

4. ჩატარებული სამუშაოები 5

5. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ- ხარისხობრივი აღწერა..... 6
5.1. მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისი N1 6
5.2. ხილ-კენკროვანი ნარგავების აღრიცხვის უწყისი N2..... 12
5.3. ზეხმელი ნარგავების აღრიცხვის უწყისი N3..... 14
5.4. შენობა-ნაგებობებზე ამოსული ხე-მცენარეების უწყისი N4 14

6. დასკვნა 16

1. შესავალი

საექსპერტო დასკვნის მიზანია ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში ს/კ 01.10.06.022.008 არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ხე-მცენარეების აღრიცხვა და ხარისხობრივი შეფასება.

2. საექსპერტო დასკვნის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტის შედგენის სამართლებრივ საუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ ქალაქ თბილისის უნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N5-31 ბრძანება.

3. ტერიტორიის აღწერა

ს/კ 01.10.06.022.008 ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში. ტერიტორიები წარმოადგენენ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.
ს/კ 01.10.06.011.058 მესაკთრეა სს "საქართველოს ბანკი", ID ნომერი:204378869.

3.1. შესწავლილი ტერიტორია

ს/კ 01.10.06.001.018 ნაკვეთები წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ დატვირთვას. აღნიშნულ ნაკვეთებზე განთავსებულია სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობები, რომელთა ნაწილი ამორტიზირებულია.

3.2. ტერიტორიის ზონები

ს/კ 01.10.06.022.008 ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის მიხედვით წარმოადგენს

პერიფერიული ზონას (პზ).



ფუნქციური ზონის მიხედვით წარმოადგენს სამრეწველო ზონა-1-ს.



ს/კ 01.10.06.022.008 არ გააჩნია შეზღუდვის ზონა.

4. ჩატარებული სამუშაოები

ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრის“ ექსპერტის (ლ. გოშაძის) მიერ მიმდინარე წლის 13-14 თებერვალს ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.06.022.008) განხორციელდა არსებული ხე-მცენარეების აღრიცხვა, გაზომვა, მდგომარეობის ვიზუალური შეფასება, ფოტო მასალის გადაღება და უწყისების შედგენა.

აიღწერა და ტოპო-გეგმაზე (იხ. დანართი რუკა) დატანილი იქნა თითოეული მერქნიანი მცენარე.

5. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა

აღრიცხვა-შეფასების შედეგები თავმოყრილია ნაკვეთების შედგენილ მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისებში.

წინამდებარე დოკუმენტს თან ახლავს ტოპო-გეგმა, რომელზეც დატანილია აღრიცხვის უწყისებში მოცემული ყოველი ხე-მცენარე.

5.1. მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისი N1

მისამართი:	ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13
საკადასტრო კოდი	01.10.06.022.008
მიწის ნაკვეთის ფართობი	82 020.00 კვ.მ
აღრიცხვის მეთოდი	ძირობრივი

N	ხის N	სახეობა	D 10სმ-ზე	შენიშვნა
1	1	ბალი *(Prunus avium)*	4	ხილ-კენკროვანი/1 ძირი/ჯანსაღი/გადარგვა შესალებელია/გახარების მაღალი ალბათობა
2	2	ნეკერჩხალი *(Acer)*	4	1 ძირი/ჯანსაღი/გადარგვა შესალებელია/გახარების მაღალი ალბათობა
3	3	ნეკერჩხალი *(Acer)*	4	1 ძირი/ჯანსაღი/გადარგვა შესალებელია/გახარების მაღალი ალბათობა
4	4	ბროწეული *(Punica granatum)*	1-3	1 ძირი/ბუჩქი/ჯანსაღი/გადარგვა შესალებელია/გახარების მაღალი ალბათობა
